სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „წიქარა“ - თბ „სოხუმი“		
გუნდი	თბ „სოხუმი“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	09/03/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, ლოკოს ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	27/07/1999
სახელი, გვარი	გუგა სიხარულიძე		
☒მსაჯი ☐საითინგ კომისარი	გიორგი ირემაშვილი	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #1 –**9.28 (ბ)** **მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.**	☒ **წითელი ბარათი** ☐ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	13/03/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☒ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „სოხუმი“-ს წარმომადგენელი ლევან ჯობავა.	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის წითელი ბარათის ოქმი		

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის წითელი ბარათის ოქმი;
2. მატჩის კიდის მსაჯის, ანა ხაბულიანის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის კიდის მსაჯის, გურანდა ხიჯაკაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის მეთვალყურის, ლიკა ხუფენიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

გუგა სიხარულიძის წარმომადგენელი ლევან ჯობავა (თბ „სოხუმი“-ს პრეზიდენტი).

ლევან ჯობავამ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ დამრღვევი მოთამაშემ გუგა სიხარულიძემ სამსახურის გამო ვერ მოახერხა სადისციპლინო სხდომაზე დასწრება, რისთვისაც ბოდიშს იხდის. ლევან ჯობავა წინასწარ ესაუბრა გუგა სიხარულიძეს და მიიღო მისგან თანხმობა სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ყოფილიყო მისი წარმომადგენელი.

ლევან ჯობავას განცხადებით, გუგა სიხარულიძე:

ეთანხმება წითელი ბარათის ოქმში აღნიშნულ ფაქტებს. კერძოდ რომ

- ✓ მან წითელი ბარათი მიიღო რეპლიკისთვის „აზრი არ აქვს, ამან რა უნდა დაინახოს, წავიდეს სათვალე გაიკეთოს“. როლითაც მან თანაგუნდელს მიმართა.
- ✓ თამაშის დასრულების შემდეგ მივიდა მსაჯებთან, ხელი ჩამოართვა კიდის მსაჯებს, ხოლო მთავარ მსაჯს არ ჩამოართვა ხელი და მიმართა მას, რომ ის ვერასდროს ვეღარ იმსაჯებდა.

რაც შეეხება წითელი ბარათის ოქმში აღნიშნულ მოთამაშის მიერ მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს, ლევან ჯობავას განცხადებით მისთვის უცნობია ამ კონკრეტულ დარღვევასთან დაკავშირებით გუგა სიხარულიძის პოზიცია.

ლევან ჯობავამ წუხილი გამოთქვა მისი გუნდის მოთამაშის არამართებული ქცევის გამო, მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე და განაცხადა, რომ თავადაც მიიღებდა შესაბამის ზომებს დამრღვევი მოთამაშის მიმართ.

ფაქტობრივი მოცემულობზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) : „მთელი თამაშის განმავლობაში სოხუმის N12 (გუგა სიხარულიძე) გამოირჩეოდა აგრესიით და არასპორტული კომენტარებით მოწინააღმდეგე გუნდის მოთმაშეებთნ მიმართებით. ამის გამო სოხუმის კაპიტანი გაფრთხილებული მყავდა რომ მეტი სიმკაცრით მოვეკიდებოდი მსგავს კომენტარებს და შემახილებს, რაც არასპორტულ გარემოს ქმნიდა. მიუხედავად არ მყველაფრისა N 12 კვლავ აგრძელებდა არამხოლოდ კომენტარებს ასევე მან დაიწყო ოფიციალური პირების გადაწყვეტილებების აპელირება. მატჩის 70-ე წუთზე სოხუმი ჯარიმდება რაქში კონკრეტული დარღვევის გამო, რასაც მოსდევს გუგა სიხარულიძის კომენტარი, რომლითაც მის თნაგუნდელს მიმართავს: „აზრი არ აქვს, ამან რა უნდა დაინახოს, წავიდეს სათვალე გაიკეთოს“. ამ ყველაფრის

შემდეგ დავუძახე მოთმაშეს და წითელი ბარათით გავაძევე მოედნიდან. მოედნის დატოვების დროს აგძელებდა ის შეურაწჰყოფას, კომკრეტულად: „ასეთი მსაჯობის და მსაჯების დედას [redacted]“. თამაშის დასრულების შემდეგ გაძევებული მოთმაშე ისევ მუქარით მოდის ჩვენთან, (მატჩის ოფიციალურ პირებთან) და ღმერთის დაფიცებით გვეუბნება რომ ჩვენ ვეღარასოდეს ვიმსაჯებთ, ამ მომენტში აქცენტი უფრო მეტად ჩემზე იყო გაკეთებული, ამ კომენტარით. პოლემიკაში არ შევყევით და გავერიდეთ სიტუაციას.“

2. მატჩის კიდის მსაჯის, ანა ხაბულიანის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი: ანა ხაბულიანის განცხადებით, წითელი ბარათის ოქმში აღნიშნულ სადისციპლინო დარღვევებიდან, მან პირადად გაიგონა გუგა სიხარულიძის მიერ მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეესწრო თამაშის შემდეგ გუგა სიხარულიძის რეპლიკას მსაჯის მიმართ, რომ ის ვეღარასოდეს იმსაჯებდა.
3. მატჩის კიდის მსაჯის, გურანდა ხიჯაკაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი: გურანდა ხიჯაკაძის განცხადებით, წითელი ბარათის ოქმში ნახსენები გუგა სიხარულიძის დისციპლინარული დარღვევებიდან, პირადად შეესწრო და მოისმინა გუგა სიხარულიძის მიერ მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფა და თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯის მიმართ მუქარა „შენ ვეღარასოდეს იმსაჯებ, ამას გპირდები“.
4. მატჩის მეთვალყურის ლიკა ხუფენიას, გამოკითხვის აუდიოჩანაწერი: ლიკა ხუფენიას განცხადებით, თამაშის დასრულების შემდეგ გუგა სიხარულიძე მოვიდა მსაჯებთან და ითხოვა განმარტება წითელი ბარათის მიზეზის შესახებ. მას შემდეგ რაც გიორგი ირემაშვილმა აუხსნა წითელი ბარათის ჩვენების მიზეზი, გუგა სიხარულიძემ „ეს შენი ბოლო მსაჯობაა“ რეპლიკით მიმართა მსაჯს.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მხარეთა განცხადებების მოსმენის შემდეგ იმსჯელა მომხდარი დისციპლინარული დარღვევების და დარღვევებთან კავშირის მქონე ყველა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ფაქტორების შესახებ.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომისიამ დაადგინა, რომ თბ „სოხუმი“-ს მოთამაშემ გუგა სიხარულიძემ დაარღვია სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს სამი პუნქტი. კერძოდ:

1. 9.28 (ა) მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ
2. 9.28 (ბ) მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.
3. 9.28 (დ) მოთამაშემ არ უნდა გამოიყენოს მუქარის შემცავი ქმედება ან სიტყვები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქციირების პროცედურა	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტით განსაზღვრული დარღვევის სიმძიმის შეფასება	
☒ შეგნებული/წინასწარ განზრახული	☐ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი	
მატჩის მსაჯის წითელი ბარათის ოქმი და მატჩის ოფიციალური პირების განცხადებები	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
9.28(ა) შუა ზღვარი, 9.28(ბ) შუა ზღვარი, 9.28(დ) ქვედა ზღვარი.	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე	
დაშავებულის დაცულობის ხარისხი	
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;	

შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით**
ქვედა ზღვარი კვირა. **შუა ზღვარი 12(თორმეტი)კვირა/თამაში** ზედა ზღვარი კვირა*

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
სადისციპლინო კომისიის სხდომაზე დამრღვევის წარმომადგენელმა აღიარა დისციპლინარული დარღვევები და მოიბოდიშა კომისიის წინაშე	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების რ-ბა: 4(ოთხი) კვირა/თამაში

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : შაესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით სადისციპლინო კომისიამ მიიღო 9.28(ბ) წესის დარღვევისთვის განსაზღვრული შუა ზღვარის შესაბამისი სანქციის 4(ოთხი) კვირა/თამაშით შემცირების გადაწყვეტილება.

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

სანქცია

- **სანქცია მოიცავს წითელი ბარათით ან საითინგ კომისარის საითინგით შეყოვნებული(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	8(რვა) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	14/03/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	უცნობია	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ)	არა	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება თამაშის დროს ნებისმიერი სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	14/03/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]